უფასო

ბეთი გაზეთი

30 ივნისი
2016 წელი

№4 (14)

ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ა.(ა.)ი.პ. ინფორმაციის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდი

ფაქტები *უკომენტაროდ*

1 **25 აპრილი** – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულმა სააგენტომ, ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი გეგეშიძე დააკავა. მას ბრალი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობის თანხების გაფლანგვის ფაქტზე დაედო. საქმე აღიძრა საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილითა და სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით. ანტიკორუფციული სააგენტო ირაკლი გეგეშიძეს ბაღდათი – ზეგანი – საკრაულას დამაკავშირებელი გზის ნაწილის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევით მიღება-ჩაბარებას ედავება. თბილისის საქალაქო სასამართლომ ირაკლი გეგეშიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

2 **20 მაისი** – ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ცნობად მიიღო ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 27 აპრილის № 10ა/2124 განჩინება *(იხილეთ ქვემოთ)*.

3 **იურიდიული კაზუსი** – ირაკლი გეგეშიძეს წინასწარი პატიმრობა აქვს შეფარდებული, რაც მისთვის გამგებლის უფლებამოსილების შეჩერება/შეწყვეტის საფუძველია. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად კი, გამგებლის უფლებამოსილების შეჩერება/შეწყვეტის შემთხვევაში, გამგებლის მოვალეობას მისი პირველი მოადგილე ასრულებს, თუმცა ირაკლი გეგეშიძემ დაკავებამდე რამდენიმე საათით ადრე, მისი ერთადერთი მოადგილე გელა მშვილდაძე თანამდებობიდან გაათავისუფლა. გამგებლის ან მისი მოვალეობის შემსრულების არყოფნის შემთხვევაში კი მუნიციპალიტეტის აღასრულებელი ორგანო (გამგეობა) ვერ შეძლებს ფუნქციონირებას.

4 **25 მაისი** – ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის გელა მშვილდაძის სარჩელი და იგი თანამდებობაზე აღადგინა.

5 **30 მაისი** – ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება № 41 336 გელა მშვილდაძის შესახებ: 1 – ცნობად იქნას მიღებული 2016 წლის 25 მაისის ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და 27 მაისიდან შევუდექი ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალების შესრულებას. *(იხილეთ ქვემოთ)*

საქართველო
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

N 42 20 20/05/2016

ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 27 აპრილის N 10ა/2124 განჩინების ცნობად მიღების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 56-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-4 ნაწილისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 27 აპრილის N 10ა/2124 განჩინება მიღებული იქნას ცნობად.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, მისამართზე: ქ. ქუთაისი კუპრაძის ქ. N11 ხელმოწერიდან ერთი თვის განმავლობაში.

გრიგოლ მაჩიტაძე

საკრებულოს თავმჯდომარე



საქართველო
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

N 42 23 24/06/2016

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო აგიტაციის ჩასატარებლად და საარჩევნო სააგიტაციო მასალების გასაკრავად ადგილების გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი''45-ე მუხლის მე-9 ნაწილის, 46-ე მუხლის მე-4 ნაწილის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. საარჩევნო კამპანიის პერიოდში პოლიტიკურ სუბიექტებს შეხვედრებისა და შეკრებების ჩასატარებლად თანაბარი პირობებით შეუძლიათ ისარგებლონ რ.ლაღიძის სახელობის კულტურის სახლის, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის, დიმის კულტურის სახლის, წითელხევის კულტურის სახლის და ვარციხის კულტურის შენობით.
2. ქ. ბაღდათში და ბაღდათის მუნიციპალიტეტის თემებსა და სოფლების ტერიტორიაზე საარჩევნო-სააგიტაციო მასალების გასაკრავ-გამოსაფენ ადგილებად გამოიყოს სამგზავრო ტრანსპორტის მოსაცდელები და გარე განათების ელექტრო ბოძები.
3. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აიკრძალოს სააგიტაციო მასალის საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე განთავსება/გაკვრა.
4. ამ განკარგულების მეორე მუხლით განსაზღვრული ადგილების (ობიექტების) გარდა სააგიტაციო მასალა შეიძლება აგრეთვე, გამოიფინოს სხვა შენობა-ნაგებობებსა და ობიექტებზე (გარდა მე-3 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა) მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.
5. დაევალოს, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს, საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნება ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოებში და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
6. დაევალოს, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს განკარგულების ქსეროასლი გადაუგზავნოს N52 ბაღდათის საოლქო საარჩევნო კომისიას.
7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს 3 დღის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მისამართზე: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. N11.

გრიგოლ მაჩიტაძე

საკრებულოს თავმჯდომარე



საქართველო
ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის
ბრძანება N 41 336

30/05/2016

გელა მშვილდაძის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“-„გ“, „ე“-„ე“ ქვეპუნქტების, 57-ე მუხლის 1, 3, 4, პუნქტების, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 17 ოქტომბრის N133-ე და „ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 13 ოქტომბრის N54 დადგენილების მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად „გამგებლის მოადგილე ასრულებს გამგებლის მოვალეობას გამგებლის არყოფნისას, მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან მისი გადადგომისას და/ან გადაყენებისას“

1.ცნობად იქნას მიღებული 2016 წლის 25 მაისის ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და 27 მაისიდან შევუდექი ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შესრულებას;

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბაღდათის მაგისტრატ სასამართლოში მისამართზე: ქ. ბაღდათი, ვაჟა-ფშაველას ქუჩა N7) მისი ოფიციალურად გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში.

გელა მშვილდაძე

გამგებლის მ.მ.

აწარმოე საქართველოში

2014 წლის ივნისიდან საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა დაიწყეს ახალი სამთავრობო პროგრამის, „აწარმოე საქართველოში“ განხორციელება. პროგრამა მიმართულია წარმოების განვითარებისა და წახალისებისაკენ. იგი ხელს უწყობს ადილობრივ მოსახლეობას ახალი საწარმოების შექმნაში, არსებულის გაფართოებაში ან გადაიარაღებაში. პროგრამის ფარგლებში დაინტერესებულ პირებს საშუალება ეძლევათ მოიპოვონ თანადაფინანსება იდეის განსახორციელებლად: 5 ათას ლარამდე თანადაფინანსებას მიიღებს ერთი მეწარმე, 10 ათას ლარამდე ორი მეწარმე, 15 ათას ლარამდე სამი მეწარმე.

2016 წლის 24 მაისის მდგომარეობით, მთელი ქვეყნის მასშტაბით დაფინანსებულია 1137 ბიზნეს პროექტი, რაც, დაახლოებით, 1800-მდე ბენეფიციარს გულისხმობს. რაც შეეხება ბაღდათის მუნიციპალიტეტს, დაფინანსებულია 15 ბიზნეს პროექტი, ჯამში 26 ბენეფიციარი. ქვემოთ, წარმოგიდგენთ ბაღდათის მუნიციპალიტეტში დაფინანსებულ ბიზნეს პროექტებს.

1. მცირე მეწარმე ვახტანგ მაჩიტაძე – 5 ათასი ლარი
2. ამხანაგობა „მოცვის ჩაი“ – 10 ათასი ლარი
3. მიკრო მეწარმე ზაზა ხურციძე – 5 ათასი ლარი
4. მიკრო მეწარმე თამარ ღვალაძე – 5 ათასი ლარი
5. მიკრო მეწარმე ბესიკ მსხვილიძე – 5 ათასი ლარი
6. მცირე მეწარმე ვასილ კაცაძე – 5 ათასი ლარი
7. მიკრო მეწარმე დავით კაცაძე – 5 ათასი ლარი
8. მიკრო მეწარმე ლაშა ჭრელაშვილი – 5 ათასი ლარი
9. ამხანაგობა „პურფუნთუშეულის საცხობი“ – 15 ათასი ლარი
10. ამხანაგობა „სარიტუალო დარბაზი“ – 15 ათასი ლარი
11. ამხანაგობა „საირმე“ – 10 ათასი ლარი
12. ამხანაგობა „ლიზა“ – 9 ათას ცხრაას 78 ლარი
13. ამხანაგობა „ხევი“ – 15 ათასი ლარი
14. მიკრო ბიზნესი ამირან თავხელიძე – 5 ათასი ლარი
15. ამხანაგობა „ლიდერი“ – 15 ათასი ლარი

ამჟამად მიმდინარეობს მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის კიდევ ერთი ეტაპი.

ანა ავალიანი

სტუმრად ფერმერთან

მეფუტკრეობა - ოჯახური მეურნეობა

„ჩემი გაზეთი“ ამჯერად სოფელ დიმში მცხოვრებ გეგეშიძეების ოჯახს ესტუმრა, რომლებიც მეფუტკრეობას მისდევენ. ჩვენ მათ აღნიშნული მეურნეობის შესახებ ვესაუბრეთ.

თავდაპირველად ოჯახის უფროსს – ბატონ ჯუანშერს ჰყოლია ფუტკარი. მეფუტკრეობა გეგეშიძეების ოჯახური მეურნეობაა. მათ ამ დარგში სპეციალური განათლება არ მიუღიათ, თავად შეისწავლეს იგი. ამჟამად გეგეშიძეების ოჯახს, დაახლოებით, 150 სკა ფუტკარი ჰყავს, რომლებიც სხვადასხვა ადგილასაა დასმული: ვარციხეში, ზედა დიმში, თერჯოლასა (გოდოგანი) და დიმში. შემდეგ მიჰყავთ საირმეში, ჭიათურაში, შემოდგომაზე კი – სამეგრელოში, კერძოდ, ჭალადიდში, სადაც წელიწადის ამ დროს ხარობს ჭაობის მცენარე, რომელსაც ოქრონკეპლას ეძახიან და ძალიან ეფექტურია ფუტკრისთვის.

ფუტკრის ძირითადი ნაწილი (80 სკა) თერჯოლაში არის დასმული, რადგან იქ აკაციის ტყეებია. გეგეშიძეებს მოჰყავთ აკაციის, მინდვრის, ცაცხვისა და წაბლის თაფლი. ვარციხეში მალინისა და მოცვის პლანტაციებია გაშენებული და ფუტკარი იქედანაც იღებს საკვებს. მეფუტკრეობა ძალიან შემოსავლიანი მეურნეობაა, მაგრამ ამასთანავე დიდ შრომას მოითხოვს. ფუტკარი ცოცხალი ორგანიზმია და სათანადო ყურადღებას თუ არ მიაქცევს მეფუტკრე, დაეხოცება. ფუტკრის მოსავლიანობა დიდადაა დამოკიდებული გარემოპირობებზე, ამინდზე. მეურნეობისათვის ყოველ წელიწადს დაახლოებით 5000-6000 ლარია საჭირო. ფუტკარს ბევრი რამ სჭირდება: ყუთი, ჩარჩო, თაფლის შესანახი ეკოლოგიურად სუფთა ჭურჭელი... გარდა თაფლისა, გეგეშიძეები აწარმოებენ სანთელს, დინდგელს, ფუტკრის რძეს. ეს უკანასკნელი ცოტა რთული ასაღებია. ფუტკრის ყველა პროდუქტს, გამონაკლისის გარეშე, გააჩნია საკვები და სამკურნალო თვისებები. მისი შხამიც კი – ეფექტური წამალია. სასარგებლოა არა მარტო ცოცხალი, არამედ მკვდარი ფუტკარი, რადგან მისი სხეულიდან წამალი მზადდება. თაფლის რეალიზაცია საქართველოში ხდება, ძირითადად ბათუმში. ოჯახი იღებს შეკვეთებს.

გეგეშიძეებს მჭიდრო ურთიერთობა აქვთ თურქ მეფუტკრესთან, რომელთანაც ხდება გამოცდილების ურთიერთგაზიარება. ამასთანავე, თურქეთში თაფლის გამოსახდელი უახლესი აპარატურა გაცილებით იაფია, ვიდრე საქართველოში. ისინი ასეთი აპარატურის შეძენას უახლოეს მომავალში გეგმავენ. მათთან სურსათის ეროვნული სააგენტოც იყო თაფლის ხარისხის შესამოწმებლად მისული.

ისინი გაერთიანებულნი არიან კოოპერატივში, რომელიც 10 მეფუტკრისაგან შედგება.

მარიამ ოქროჭელიძე

ერთი სამსახურის ერთი დღე

„ჩემი გაზეთის“ რუბრიკა – ერთი სამსახურის ერთი დღე ამჯერად ა.(ა).ი.პ. სპორტული სკოლის მუშაობის შესახებ მოგითხრობთ. სპორტულ სკოლაში სტუმრობისას მე და ჩვენი ოპერატორი ადმინისტრაციამ გულთბილად მიგვიღო, დაგვათვალიერებინა შენობა, დაგვრთო ნება თვალი გვედევნებინა ვარჯიშისთვის და ფოტოები გადაგვეღო. სპორტული სკოლის ისტორიაზე, მის აწმყოსა და მომავალზე გვესაუბრნენ სკოლის დირექტორი – ავთანდილ გურგენიძე და მისი მოადგილე – რამინ ლილუაშვილი.

ბაღდათში სპორტული სკოლა 49 წელია არსებობს, ის 1967 წელს დაარსდა. ადრე სკოლა სხვადასხვა ადგილას მდებარეობდა, ახალ შენობაში 2012 წელს გადმოვიდნენ. სპორტულ სკოლაში სწავლა უფასოა. მიიღებიან სკოლის ასაკის ბავშვები. ამჟამად სკოლას 350 აღსაზრდელი და 16 მწვრთნელი ჰყავს. სკოლაში ისწავლება სპორტის შემდეგი სახეობები: თავისუფალი ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, რაგბი, კალათბურთი, კრივი, ფეხბურთი. ეს უკანასკნელი მომავალში საფეხბურთო კლუბს გადაეცემა. სპორტულ სკოლაში გაკეთებულია საშხაპეები და ვარჯიშის შემდეგ აღსაზრდელებს საშუალება აქვთ თავი მოიწესრიგონ. მოსწავლეები ვარჯიშობენ სპორტული სკოლის დარბაზში (ჭიდაობა), დიმის №1 საჯარო სკოლის ბაზაზე (ფეხბურთი და რაგბი), სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლაში (თავისუფალი ჭიდაობა), ტარიელ კვირიკაშვილის სახელობის სოფელ წითელხევის საჯარო სკოლაში (ფეხბურთი), ქალაქ ბაღდათის №1 საჯარო სკოლაში (ფეხბურთი და კრივი), ასევე ბაღდათის ფეხბურთის მოედანზე (ფეხბურთი). სპორტული სკოლის დაქვემდებარებაშია ჭადრაკი. ამ სფეროში დიდი მიღწევები აქვთ აღსაზრდელებს. მაგალითად, საქართველოს ჩემპიონები არიან ლილე გუმბერიძე, ჯაბა ადამია და ლადო მაღლაკელიძე. 2015 წელს ჯაბა ადამია და ლადო მაღლაკელიძე საბერძნეთში იმყოფებოდნენ მსოფლიოს პირველობაზე ჭადრაკში. მართალია, მათ საპრიზო ადგილები ვერ დაიკავეს, მაგრამ მათთვის ეს უკვე გამარჯვებაა. ჭადრაკში მსოფლიო ოლიმპიადაზე, რომელიც ბათუმში გაიმართება, ორი მოსწავლე – ლილე გუმბერიძე და რუსუდან მაღლაკელიძე ითამაშებენ. ბაღდათში მოჭადრაკეებს ამეცადინებს სერგო აკიმჩევი. გარდა ბაღდათისა, ჭადრაკი ისწავლება დიმის №2 საჯარო სკოლაში (მასწავლებელი რამაზ გორგოძე).

სპორტული სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობენ სხვადასხვა ტურნირში და უმეტესად საპრიზო ადგილებს იკავებენ. მაგალითად, ჯონი ჩაფიჩაძე მე-3 ადგილზე გავიდა კრივში. ასევე სპორტული სკოლის ყოფილმა აღსაზრდელმა – გაგა გარჩაკუდაშვილმა, რომელიც ამჟამად ქუთაისში მოღვაწეობს, საქართველოს პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში მე-3 ადგილი დაიკავა.

დღესდღეობით სპორტულ სკოლაში მხოლოდ ვაჟები ვარჯიშობენ, თუმცა ადრე აქ გოგონათა ფრენბურთისა და კალათბურთის ჯგუფები ჰყავდათ. ბატონი ავთანდილი იმედოვნებს, რომ მომავალში სპორტულ სკოლაში გოგონებსაც მიიღებენ. მაღე სპორტულ სკოლაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებსაც ექნებათ ვარჯიშის შესაძლებლობა.

ბაღდათის სპორტულმა სკოლამ აღზარდა ისეთი სპორტსმენები, როგორებიც არიან: ლევან ებანოიძე – ყოფილი საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, ორჯერ ევროპის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებში. სოსო ჯაბიძე – ევროპის მესამე პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში და მათე სოფაძე, რომელიც 2015 წელს მონაწილეობდა ევროპისა და მსოფლიოს პირველობაზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. სოსო და მათე თბილისში მოღვაწეობენ და ემზადებიან მომავალი შეჯიბრებებისათვის. ლევან ებანოიძე კი ამერიკაში მოღვაწეობს და სპორტულმა სკოლამ 31 მაისსა და 1-2 ივნისს თავისუფალ ჭიდაობაში მისი სახელობის ტურნირი გამართა. აღნიშნულ ტურნირზე მონაწილეობა მიიღეს ოსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის დელეგაციებმა. ასევე საქართველოს თითქმის ყველა რაიონისა და თბილისის რამდენიმე გუნდმა. საერთო ჯამში ტურნირში 300-მდე აღსაზრდელი მონაწილეობდა.

ზაფხულში სპორტული სკოლა თავისუფალ ჭიდაობაში რესპუბლიკის მასშტაბით ჩაატარებს „გურგენა 2016“ – სპორტული სკოლის დირექტორის, თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონის – ავთანდილ გურგენიძის სახელობის ტურნირს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კრივში სპორტული სკოლის აღსაზრდელები ქალაქ ბაღდათის №1 საჯარო სკოლის დარბაზში ვარჯიშობენ, მაგრამ მომავალში იგეგმება რინგის სპორტულ სკოლაში განთავსება. ინვენტარის (რინგისა და კრივისთვის საჭირო სხვა მოწყობილობების) მოთხოვნის შესახებ წერილი გაგზავნილია შესაბამის უწყებაში და ელოდებიან პასუხს. იმედოვნებენ, რომ საკითხი დადებითად გადაწყდება.

2017 წელს სპორტულ სკოლას 50 წელი უსრულდება. მისი ადმინისტრაცია ამ იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიების ჩატარებას გეგმავს.

მარიამ ოქროჭელიძე

ფესვები

„ჩემი გაზეთის“ დღევანდელ ნომერში შემოგთავაზებთ მცირე ისტორიულ ექსკურსს სოფელ წითელხევის შესახებ. ასევე, ამავე სოფლის 30-ზე მეტი ტოპონიმის (ადგილის სახელის) ჩამონათვალს იმ 200 ტოპონიმიდან, რომელთა შეკრებაც დღემდე შევძელით და რომელთა სრულად გამოქვეყნებაც საგაზეთო ფორმატის სიმცირის გამო დღევანდელ ნომერში ვერ შევძელით.

წითელხევი ბაღდათის მხარის ერთ-ერთი ძველი სოფელია, მისი არეალი ვრცელდება ბაღდათი-ვანის საავტომობილო გზის მე-7 კილომეტრიდან სოფელ როხამდე, მოსახლეობა – 3000 კაცი.

მდინარე **კორისწყალი** სოფელს ორნაწილად ყოფს: გამოღმა და გაღმა წითელხევად. კორისწყლის დასავლეთ მხარეს მდებარე **გამოღმა წითელხევი** მთაგორიანია და ბევრად უფრო ძველია, ვიდრე **გაღმა წითელხევი**, რომელიც კორისწყლის აღმოსავლეთ მხარეს მდებარეობს შედარებით ნაკლებად მთაგორიან ადგილზე, ბაღდათი-ვანის საავტომობილო გზის ორივე მხარეს.

წითელხევი საბჭოური პერიოდის სახელწოდებაა **(წითელი ხევი)**, მანამდე კი სოფელს **სადემეტრაო** ერქვა, რომელიც აზნაურთა გვარსახელისაგან – დემეტრაძე მომდინარეობს.

ისტორიული **სადემეტრაო** ფერსათის ქედის, იგივე „ღადოს“ მთის მასივის აღმოსავლეთ კალთებზე, მდინარე კორისწყლის ქვემო წელზე მდებარეობდა და მდინარის ორივე მხარეზე ვრცელდებოდა. გამოიყოფოდა **გამოღმა** და **გაღმა სადემეტრაო**.

სოფელ სადემეტრაოს მოიხსენიებს თავის ნაშრომში „მოგზაურობა საქართველოში“, XVIII ს-ის გერმანელი მოგზაური ი. გიულდენშტედტი, როცა აღწერს იმერეთის **ბარის საერისთავოში** შემავალ სოფლებს. გამოღმა სადემეტრაო ამ საერისთავოს მფლობელობაში იყო. XVIII საუკუნეში **ბარის საერისთავოს** მფლობელობაში **გამოღმა სადემეტრაოსთან** ერთად შედიოდა დღევანდელი ვანის მუნიციპალიტეტის სოფლები: **ამაღლება, სალომინაო, ბაბოთი, გორა, ბზვანი, უხუთი, გორმაღალი** (ახლა ნასოფლარია), **რომანეთი, ინაშაური**. ბარის საერისთავოს თავადები ჩიჯავაძეები და ლორთქიფანიძეები ასევე ფლობდნენ ფერსათის ქედის სამხრეთ კალთებზე ტყის დიდ მასივებს და ალპურ საძოვრებს.

მდინარე კორისწყლის ხეობის სიღრმეში მრავალი ძველი ნასახლარისა და ნაეკლესიარის კვალია გამოვლენილი; უფრო მეტიც, ისტორიკოსი გოჩა ლომთაძე, რომელიც წარმოშობით წითელხეველია, მის მიერვე მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით, თავის ერთ-ერთ ნაშრომში მიუთითებს და მოგვითხრობს კორისწყლის ხეობაში პალეოლითის ხანის ადამიანთა ცხოვრების უტყუარ ფაქტებზე.

სოფელ წითელხევის და მისი შემოგარენის ადგილის სახელები და ჰიდრონიმები (მდინარისა და ღელეების სახელწოდებები), რომლებიც შეძლებისდაგვარად გვაქვს განმარტებული, ძირითადად მიღებულია ადამიანთა პიროვნული სახელებისა და გვარებისაგან, ადგილის რაიმე დამახასიათებელი გარეგნული ნიშნისა და მცენარეთა სახელწოდებებისგან.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ტოპონიმი გადაეცემა თაობიდან თაობას წერილობით ან ზეპირმეტყველების გზით და ადამიანის განუყრელი თანამგზავრია. ენათმეცნიერი ალ. ღლონტი წერდა: „...ტოპონიმში უხილავი შემოქმედის ფუნჯით არის აღბეჭდილი ამა თუ იმ ზოლში მცხოვრები ხალხისა თუ ტომის ნაკვალევი. ამიტომ იგი ისევე ძველი და გამძლეა, როგორც თვით ენა და მისი მთავარი საკომუნიკაციო ერთეული – სიტყვა. ... ტოპონიმია სიტყვის ერთ-ერთი პირველი ლექსიკური ინვენტარია. არ არსებობს ენა, რომლის ლექსიკას არ ამდიდრებდეს ეს მასალა“.

ბუნებრივია, ტოპონიმია ენათმეცნიერების დარგია, მაგრამ ასევე აღიარებულია მისი ისტორიულ-გეოგრაფიული კატეგორია, რადგან სათანადო ისტორიული წყაროების არარსებობის პირობებში, ტოპონიმს ენიჭება მნიშვნელოვანი პირველწყაროს ფუნქციებიც.

ენათმეცნიერი კ. ხარაძე, როდესაც განმარტავს ტოპონიმის გეოგრაფიულ კატეგორიას, წერს: „გეოგრაფიული სახელ-წოდებები აინტერესებს ყველა ჩვენგანს. გვაინტერესებს არა მარტო ამა თუ იმ ადგილის სახელი, არამედ, ამ სახელწოდებათა წარმოშობა, მათი შინაარსი, თუ როდის დაერქვა ეს სახელი, როდის შეიცვალა. გეოგრაფიული სახელწოდება ყალიბდებოდა მრავალი ასეული წლის მანძილზე: ერთნი ჩვენს დრომდე შემორჩნენ, მეორენი უკვე მკვდარი და დავიწყებულია. ჩვენს დროშიც იქმნება ახალი სახელწოდებები (ტოპონიმები), იცვლება ფორმით, შინაარსითაც და კვდება. მათი ცხოვრების ხანგრძლივობა სხვადასხვაა. პრაქტიკულად უაზრო სახელწოდებები არ არსებობს.“

სოფელ წითელხევის ტოპონიმები

1) ბარდიღელე – ღელე, კორისწყლის მარცხენა შენაკადი. „ბარდი“ იმერულ დიალექტში ბუჩქების ან მცენარეული ბალახის ერთმანეთში გადახლართულ ღეროებს ჰქვია.

2) ბელესნარი – მთა, ტყე, საძოვარი, სათიბი. „ბელესი“ ერთგვარი ბალახია, იმერეთში „ბერსულასაც“ ეძახიან. აწარმოებს „ნარ“ სუფიქსი.

3) ბუზოური – მთა, საძოვარი, ტყე.

ტოპონიმი მიღებულია მწერის სახელისაგან – „ბუზარა“. „ბუზარას“, „ბუზარიეს“ იმერეთში, ლეჩხუმში, გურიაში მკბენარა მწერს ეძახდნენ; საქონელს ერჩის. აწარმოებს „ურ“ სუფიქსი.

4) გორგოულა – სახნავი. ადგილის სახელწოდება წარმოქმნილი უნდა იყოს კაცის გვარსახელისაგან – **გორგოძე**. ეს გვარი ნაწარმოებია გორგასაგან. გორგა კი ბერძნული წარმოშობის პიროვნული სახელის – **გიორგის** კნინობითი ქართული ფორმაა (თუმცა ზოგი მკვლევარი თვლის, რომ **გორგა (გოგა)** დამოუკიდებელი ქართული წარმოშობის სახელია). აქედანაა ქართული გვარები: გორგოძე, გორგაძე, გორგოშია და სხვა.

5) გუმბეროულა – ნაყანევი, მინდორი, ტყე. შესაძლებელია ადგილის სახელწოდება „გუმბერიძის სოულიდან“ მომდინარეობდეს. ან სხვა ვარაუდით, შესაძლოა მისი ფუძე სიტყვა „გუმბრა“ იყოს, ხოლო ამოსავალი ფორმა „გუმბრალოური“ (შეადარეთ „გუმბრალა“ - სოფ. ქვედა ზეგნის მიკროტოპონიმიკა).

6) დიდი გამოკოდილა – მინდორი, ტყე. მიღებულია სიტყვა „ნაკოდი“-დან, რასაც ადრე იმერეთში ეძახდნენ საერთო სარგებლობის ტყეში ხეების სამასალედ თუ საშეშედ მოსაზღვრას, მონიშვნას და ამას „ნაკოდობა“ ერქვა. ტოპონიმიც აქედან არის მიღებული.

7) დობილო – სახნავი. დობილო იმერულ დიალექტში დაბალ, ჩავარდნილ ადგილს ჰქვია. დობილოს ასევე ეძახდნენ ვენახს, რომელიც დაბალ, ჩავარდნილ ადგილზე იყო გაშენებული.

8) ვანიგანი – მთა, მინდორი, ტყე. კომპოზიტური აგებულების ტოპონიმია. პირველი სიტყვა „ვანი“ ძველ ქართულში მყუდრო საცხოვრისს, ადგილსამყოფელს, საერთოდ დასასვენებელ ადგილს აღნიშნავდა. ხოლო „განი“, „გვერდის“ ფარდია (გვერდი - რაიმე ადგილის განაპირა მხარე).

9) ზღაპუტა – მდინარე კორისწყლის ერთი მონაკვეთი **კორთხისჭალის** სიახლოვეს. სახელწოდება ლამაზ (ზღაპრულ) ადგილს აღნიშნავს. რაც შეეხება ტოპონიმის „ტა“ ელემენტს, იგი ზოგადად ძველ ქართულში მიანიშნებდა რაიმე ადგილის, მდინარის (ღელის) სიპატარავეს, სიმცირეს, ხოლო ადამიანის პიროვნულ სახელთან მიმართებაში მოფერებითი შინაარსისა იყო და ასევე მიანიშნებდა ასაკით, ან ტანით პატარა ადამიანზე.

10) თავუკულმა ღელე – ღელე, მდინარე **კორისწყლის** მარცხენა შენაკადი (**ბარდიღელის** ზემო წელი). ბაღდათის მხარეში, თითქმის ყველა მდინარე, მრავალი დიდი და პატარა ღელე მიედინება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, ჩრდილო-დასავლეთით ან ჩრდილო-აღმოსავლეთით. **თავუკულმა ღელე** კი პირიქით, სათავის არეალიდან დიდ მონაკვეთზე ჩრდილოეთიდან სამხრეთით მიედინება და სახელიც ამ გარემოების გამო დაერქვა.

11) თეთრი ეკლესია – ეკლესია (ბაზილიკა). აგებულია XIX საუკუნის ბოლოს. თეთრი ქვით არის მოპირკეთებული. სოფელმა აღადგინა და 1997 წლის 16 ოქტომბრიდან მოქმედი ეკლესიაა.

12) კატინარა – მინდორი, ტყე, **სამოლოქიის** მთის სიახლოვეს. ფუძე სიტყვაა „კატინა“, რომელსაც ძველად იმერეთში ეძახდნენ ერთგვარ უნაყოფო ხე-მცენარეს (ვაშლის ხეს ჰგავს).

13) კახორის (ღვთისმშობლის) **ეკლესია** – ეკლესია (ბაზილიკა). „კახორი“, როგორც ჩანს ადგილის საერთო სახელწოდება იყო. იგი შეიძლება მომდინარეობდეს ბალახოვანი მცენარის სახელისაგან - „კახოურა“, რომლის ოკრიბული ვარიანტია „კახა“, ხოლო სულხან-საბას „მგლის ხორხად“ აქვს განმარტებული. სიტყვათშეთანხმებებში „კახორის ეკლესია“, „კახორის ღელე“, მსაზღვრელ სიტყვა „კახოურას“ „კახორის“ ფორმა აქვს მიღებული.

14) კეციმიწა – თიხნარი, საძოვარი. როგორც ჩანს, ამ ადგილებიდან მიჰქონდათ თიხნარი მიწა სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების თიხის ჭურჭლის დასამზადებლად. „კეციმიწა“ კი თიხნარი ადგილის სახელად არის გააზრებული.

15) კორთხა – მთა. მთის სახელწოდების ამოსავალი ფორმა იქნებოდა „კორის მთა“ („კორის“ განმარტებისათვის იხ. „ჩემი გაზეთის“ №5, გვ. 7, ნასოფლარ „კორიშის“ ეტიმოლოგია).

„კორის მთა“ მსაზღვრელ-საზღვრულის მართული სიტყვათშეთანხმებით არის მიღებული. მოგვიანებით, საზღვრულ სიტყვაში „მთა“, „მ“ ფონემა დაიკარგა, ხოლო „თ“-ს შემდეგ „ხ“ განვითარდა. მსაზღვრელ-საზღვრულის სიტყვების შეერთების შემდეგ კი კომპოზიტად ქცეულმა სახეცვლილი ფორმა მიიღო – **კორთხა** (ანალოგიისათვის შეადარეთ ქალაქ ბაღდათის სამხრეთით მდებარე ნასოფლარის სახელწოდება **ლიანთხა**).

16) კორისწყალი – მდინარე რიონის მარცხენა შენაკადი. სათავეს იღებს ვანისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტების სამხრეთ მთიანეთიდან. მოედინება კორისწყლის ხეობაში. მდინარის სახელწოდება „კორის მთის“ („კორთხის“) სახელიდან მომდინარეობს.

17) კორისხევი – „კორისწყლის“ ხეობა, რომელიც მდინარე კორისწყლის სათავედან იწყება და ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. როხში მთავრდება.

18) მახატროული – ნაყანევი. „მახატურა“ გურიასა და იმერეთში ძველად გავრცელებულ ვაზის ერთგვარ ჯიშს ერქვა. ადგილის სახელიც აქედან არის მიღებული. აწარმოებს დისიმილირებული „ურ“ სუფიქსი.

19) ნაბესლარი – მთა, ტყე, მწყემსების სადგომი. შესაძლოა, ადგილის თავდაპირველი სახელწოდება იყო „ნაბოსლარი“.

20) ნადარბაზევი – ნაეკლესიარი.

21) ნაენდვრალი – მინდორი, ტყე. „ნა“ — „ალ“ ფორმანტებით ნაწარმოები ამ ტოპონიმის ფუძე სიტყვაა ენდრო. **„ენდრო“** ბალახია ერთგვარი, მისი ფესვებისაგან საღებავს ამზადებენ.

22) ნანიოური – სოფლის უბანი.

23) ნანისი – ნაეკლესიარი. ნანისი მიღებულია ძველი ქართული სიტყვისაგან „ნანი“, რაც „ინანიებს“ ზმნის ფუძე სიტყვაა. ნანისი სალოცავი ადგილის სახელწოდებად გაიაზრებოდა.

24) სამოლოქია – მთა სოფლების – ფერსათისა და წითელხევის საზღვარზე. მთის სახელწოდება მომდინარეობს „მოლოქადან“, რომელიც მხალეული მცენარის სახელია. მოლოქა განსაკუთრებით კარგად მთაში ხარობს. მატოპონიმირებელი „სა“ პრეფიქსის დართვით მივიღეთ მთის სახელწოდება **სამოლოქია**.

25) სარკოია – მთა, სახნავი, ტყე. რკო ზემო და ქვემო იმერეთში ეწოდებოდა ვაზის საადრეო ყურძნის ჯიშს; მის საკმაოდ დიდი მტევნის მარცვლებს რკოს ფორმა ჰქონდა. სახელწოდებაც ამ მსგავსების გამო დაარქვეს. იძლეოდა თხელ, სუსტ, დაბალხარისხოვან ღვინოს და მხოლოდ 2-3 თვე ინახებოდა. სამაგიეროდ ითვლებოდა სიცივის ამტან, იოლად მოსავლელ ვაზის ჯიშად. იმერეთში მას „მთის ვენახს“ ეძახდნენ. ხარობდა მთიან და ჩრდილიან ადგილებში. იმერეთში ვაზის დაავადებების „მილდიუს“ და „ფილოქსერას“ გავრცელების შემდეგ ვაზის ეს ჯიში, სამწუხაროდ, გადაშენდა.

26) საწუმი – მინდორი, ტყე. ტოპონიმის თავდაპირველი ფორმა იქნებოდა „საწვიმი“.

27) ცენტრი – სოფელ წითელხევის ცენტრი, სადაც მდებარეობს სოფლის საკრებულოს შენობა, სკოლა, საბავშვო ბაღი, კულტურის სახლი, ბაზარი და სხვა სავაჭრო ობიექტები.

28) ჭვანეთი – ნასახლარი. საეჭვო ვარაუდით, ადგილის სახელის ფუძე სიტყვა შეიძლება იყოს „ჭვავი“ ან კიდევ, უფრო მეტი ალბათობით, შესაძლოა მისი თავდაპირველი ფორმა ყოფილიყო „ჟვანეთი“, რადგან, ვფიქრობთ, ფონეტიკურად ნაკლებად მდგრად, მჟღერ „ჟ“ ბგერას, დროთა მანძილზე ადგილობრივი კილო-თქმის გავლენით ჩაენაცვლა მკვეთრი „ჭ“ ბგერა და „ჟვანეთის“ ნაცვლად გვაქვს „ჭვანეთი“. სახელწოდება „ჟვანეთი“ კი მიანიშნებდა იმას, რომ აქ იყო ჟვანიების გვარის საცხოვრისი. მართლაც, სოფელ წითელხევში და მის მოსაზღვრე სოფელ შუბანში ამ გვარის რამდენიმე მოსახლე ცხოვრობს.

ზურაბ თოლორდავა
ბაღდათის ისტორიისა და
მხარეთმცოდნეობის მუზეუმის უფროსი
მეცნიერ-მუშაკი

წერილი წინაპარს

დილით ტელევიზორის ხმამ გამაღვიძა. ავდექი და კალენდარს შევხედე – 14 აპრილი. დღეს დედაენის დღეა. ტელევიზორთან მივედი. ბავშვები თაიგულებით ამკობდნენ დედაენის ძეგლს. 38 წელი გავიდა იმ დღის შემდეგ, რაც ქართველ ხალხს საკუთარი ენის დაცვა კბილებით მოუწია. წამით წარმოვიდგინე, მეც რომ იმ ეპოქაში დავბადებულიყავი, ჩემი წინაპრების გვერდით მომიწევდა დგომა. მეც ვიგრძნობდი იმავეს, რასაც ისინი გრძნობდნენ. ამ ფიქრებში გართულმა ვერც კი გავიგე, როგორ მოვემზადე და სკოლაში წავედი.

მასწავლებელი ჩვეული ღიმილით შემოვიდა საკლასო ოთახში. დღევანდელი დღე მოგვილოცა და გვიამბო დედაენის დღის შესახებ. მას ყურადღებით ვუსმენდი. საუბრის დასრულების შემდეგ დავალება მოგვცა, მიგვეწერა წერილი ჩვენი წინაპრებისთვის. წერა დავიწყე... მსურდა, ჩემი წინაპრებისთვის, იმ ხალხისთვის, რომლის წყალობითაც დღეს ჩვენი ენა ქართულია, მეთქვა თუ რა დიდი სამსახური გაუწიეს მათ ქართველებს და საქართველოს. მათ თავიანთი ერთობით დაამტკიცეს, რომ ისეთ პატარა ერს, როგორიც საქართველოა, შეუძლია წინ აღუდგეს რუსეთის დიქტატურას და მიზანს მიაღწიოს. მინდა ჩემს წინაპრებს ვუთხრა, თუ როგორ მინდა მეც მათი ეპოქის წარმომადგენელი ვყოფილიყავი, მეც მათ გვერდით ვმდგარიყავი და დამეცვა ჩემი ენა. მინდა ვიგრძნო ის სიხარული, რაც მათ იგრძნეს, როცა ქართული ენა გადაარჩინეს. მე ყოველთვის მჯეროდა, რომ ხალხის ერთიანობას შეუძლია ძალიან დიდი წინააღმდეგობა გაუწიოს ძლიერ მტერს. ეს ჩვენი წინაპრების ტრადიცია იყო. ვფიქრობ, ეს ტრადიცია ჩვენს დროშიც უნდა გაგრძელდეს, რადგან არავინ იცის რა გველის ხვალ.

თემის დასრულების შემდეგ იგი მასწავლებელს გადავეცი. მან წაიკითხა და უკან დამიბრუნა. თეთრი ფურცლიდან ათიანი „მიღიმოდა“.

ფერსათის № 2 საჯარო
სკოლის მოსწავლე
მარიამ ოქროჭელიძე

სპორტი

ფეხბურთელი გოგონა

ახალგაზრდა ბაღდათელი გოგონა ***თეონა თოდაძე,*** *რომელიც ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიმში გაიზარდა, წლებია ფეხბურთს თამაშობს და საკმაოდ წარმატებულად. „ჩემი გაზეთის“ გუნდი დაინტერესდა თეონას ისტორიით და ესაუბრა მას თავის წარსულსა და მომავალზე.*

გაირკვა, რომ ფეხბურთისადმი სიყვარული პატარაობიდანვე ჰქონდა. 6 წლის ასაკში, როდესაც დედას ცეკვიდან შინ მიჰყავდა, საფეხბურთო მოედანთან ჩაიარეს. თეონამ დედას სთხოვა, მოედანზე შეეყვანა, რათა ფეხბურთი ეთამაშა, დედას, თავდაპირველად, ყურადღება არ მიუქცევია. ფიქრობდა, რომ ეს დროებითი გატაცება იყო, მაგრამ შვილის დაჟინებული თხოვნის შემდეგ მწვრთნელთან მიიყვანა და სთხოვა, თამაშის უფლება მიეცა მისთვის. გუნდში მხოლოდ ბიჭები იყვნენ და ამიტომ მწვრთნელმა უარი უთხრა. თეონამ ფარხმალი არ დაყარა და მოედანზე მაინც დადიოდა და მალე ვარჯიშსაც შეუდგა.

ბაღდათში, ბიჭების გუნდში, 13 წელი თამაშობდა, მონაწილეობდა სხვადასხვა შეჯიბრებაშიც. პირველი მწვრთნელები იყვნენ: სოსო ეხვაია, ჯაბა ახალაძე და ბესო ებანოიძე. სრულიად შემთხვევით გაიგო, რომ ქალაქ ხაშურში იყო გოგონათა გუნდი “ივერია” და თეონაც ჩავიდა სინჯზე. მწვრთნელს, თემურ კობერიძეს, თეონა მოეწონა და გუნდში მიიღო. შემდეგ იყო საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრები, რომლის ვარჯიშზეც თეონა თემურ კობერიძემ წაიყვანა. პირველ თამაშზე თეონა არ ათამაშეს, ხოლო მეორე თამაშის შემდეგ ის ნაკრებში დარჩა. მწვრთნელი მამუკა სვანაძე იყო. ასაკის გამო თეონას რამდენიმე თამაში გამოატოვებინეს. 16 წლიდან კი აქტიურად დაიწყო თამაში. მისთვის ძალიან საპასუხისმგებლო იყო საქართველოს დროშისა და ჰიმნის ქვეშ ყოფნა. ამის შემდეგ თეონამ საკუთარი შესაძლებლობები თურქეთში მოსინჯა და იქ 2 წელი გაატარა. პარალელურად, საქართველოს ქალთა ეროვნულ ნაკრებშიც თამაშობდა. ნაკრები ევროპის შესარჩევზე გავიდა, რაც ძალიან სასიხარულო და საამაყო იყო. ახლა მათ აქვთ საკვალიფიკაციო თამაშები. ბოლო წლებია თეონა თურქეთიდან წამოვიდა და ახლა მისი მიზანი იტალიაში, ქალაქ ბარში, კლუბ „პინკბარში“ თამაშის დაწყებაა. რაც შეეხება იტალიურ კლუბს, თეონა სინჯებზე მივიდა და მოეწონათ, მაგრამ შესაბამისი საბუთის არქონის გამო ჯერ ვერ ახერხებს კლუბში თამაშს. ის უკვე გაემგზავრა იტალიაში და დიდი იმედი აქვს, რომ მალე შეუდგება ვარჯიშს.

ანა ქორიძე

კალათბურთის ფინალი

ბაღდათის გოგონათა კალათბურთის ლიგის გათამაშებაში 11 გუნდმა მიიღო მონაწილეობა. ლიგა ჩამოყალიბდა ამერიკის მშვიდობის კორპუსის მოხალისე არი ჰაიერსის მიერ, რომელსაც ეხმარებოდა ტურიზმისა და კურორტების განვითარების ცენტრის თანამშრომელი და ამასთანავე მისი პარტნიორი – მასწავლებელი მანანა კაპეტივაძე და ბაღდათის რესურს ცენტრის სპეციალისტი ვანო ჟორჟოლიანი. ლიგის შექმნაში მათ დიდი დახმარება გაუწიეს სპორტის მასწავლებლებმა, რომლებმაც შეასწავლეს გოგონებს კალათბურთი და მისცეს მათ შესაძლებლობა გაერთიანებულიყვნენ გუნდურ სპორტში. ლიგა შეიქმნა შემდეგი გუნდებისგან: ბაღდათის №1 და №2, დიმის, ფერსათის, ობჩის, ვარციხის, წითელხევის, როხის და როკითის საჯარო სკოლები.

Let Girls Learn გრანტის თანხით, რომელიც დაწესებულია ამერიკის შეერთებული შტატების პირველი ლედის მიშელ ობამას მიერ, ყველა გუნდმა მიიღო კალათბურთის ფორმა და ბურთები. 75 გოგონაზე მეტმა მიიღო მონაწილეობა ლიგაში და, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ღონისძიებაში პირველად მიიღეს მონაწილეობა, თამაშები ძალიან საინტერესოდ წარიმართა.

„გოგონათა კალათბურთის ლიგამ გადააჭარბა ჩვენს ყველა მოლოდინს. ამ თამაშებს იმდენი მაყურებელი ჰყავდა, რომ უკვე დროა დავიწყოთ ფიქრი იმაზე, რომ ბაღდათში აშენდეს სპორტული კომპლექსი კალათბურთის მოედნით“ – თქვა იმერეთის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ, ბატონმა რევაზ რობაქიძემ.

ფინალური შეხვედრა გაიმართა დიმისა და ბაღდათის №2 საჯარო სკოლებს შორის. თამაშს ესწრებოდნენ ამერიკის მშვიდობის კორპუსის დირექტორი მეუღლითურთ და მშვიდობის კორპუსის მოხალისეები. არი ჰაიერსმა თქვა: „ჩემთვის არ იყო მნიშვნელოვანი რომელი გუნდი მოიგებდა, მე ყველა გუნდს ვგულშემატკივრობდი. ჩემთვის ყველა გოგონა ლიგაში გამარჯვებულია. მათი წარმატება მიღწეული იქნა მათი გულმოდგინე ვარჯიშით, თუმც საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მათ ადრე არასოდეს უთამაშიათ.“

არი, თვითონაც ათლეტი, რომელიც სპორტით იყო დაკავებული სკოლაში და უნივერსიტეტში, იმედოვნებს, რომ, როცა ის ერთ წელიწადში ამერიკაში დაბრუნდება, ბაღდათში გააგრძელებენ გოგონებისთვის სპორტულ ღონისძიებებს და შეჯიბრებებს.

„დაგვპირდით, რომ ლიგა გაისადაც გაგრძელდება“ – გვითხრა ერთ-ერთმა კალათბურთელმა გოგონამ ბაღდათის №1 საჯარო სკოლის გუნდიდან.

ყველაზე მნიშვნელოვანი ხომ ისაა, რომ გოგონები სწავლობენ სპორტს სკოლაშივე და ჯანსაღი ცხოვრების სტილს ეზიარებიან. ბოლოს და ბოლოს, ჯანსაღ სხეულში ხომ ჯანსაღი სულია.

კულტურა

NEW HORIZON

ჩვენს მუნიციპალიტეტში ბევრი ისეთი ახალგაზრდა ცხოვრობს, რომლებიც ბაღდათისთვის კარგ საქმეს აკეთებენ. „ჩემი გაზეთის“ გუნდი ბენდის შექმნის ისტორიასა და სამომავლო გეგმებზე სასაუბროდ ბენდ **NEW HORIZON**-ს ვესტუმრეთ, რომელსაც **თედო ჟვანია** ხელმძღვანელობს. მასთან საუბარი, საქმისადმი სიყვარულის, შემართებისა და ენთუზიაზმის ყურება ძალიან სასიამოვნო იყო. თედო დიდი ხანია მუსიკას მისდევს, მიღებული აქვს სათანადო განათლებაც და ახლა თვითონ ასწავლის თავის თანატოლებს. ის ასევე უკრავს ბაღდათის ქორეოგრაფიული ანსამბლში ბას გიტარას.

2010 წელს რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის ცენტრის ბაზაზე, ძველი ინსტრუმენტების გამოყენებით, შეიქმნა როკჯგუფი **MAMA CRY**, რომელიც 18-დან 22 წლამდე ბიჭებით დაკომპლექტა. ჯგუფის წევრების უმრავლესობას მუსიკალური განათლება ჰქონდა მიღებული. მათ დაიწყეს აქტიური მეცადინეობები და პირველი კონცერტი 2011 წლის 28 ივლისს გამართეს. ადგილობრივმა კულტურის სამსახურმა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გაუგზავნა კონცერტის ჩანაწერი, რასაც ძალიან კარგი შედეგი მოჰყვა. სამინისტროს მოეწონა ჯგუფი MAMA CRY შესრულება და მუნიციპალიტეტს ბენდისათვის გადასცეს ახალი ინსტრუმენტები და აპარატურის მცირე ნაწილი. თუმცა მათი მოღვაწეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. იმის გამო, რომ არ იყო ფინანსური დახმარება და ბენდის წევრების ნაწილიც სასწავლებლად დედაქალაქში გადავიდა, **MAMA CRY** დაიშალა და დარჩა მხოლოდ თედო ჟვანია. როგორც მან ჩვენთან საუბარში აღნიშნა, დიდი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა, შეეკრიბა ახალგაზრდები და ახალი ბენდი ჩამოეყალიბებინა. ერთი წლის წინ, გაზაფხულზე, მან მუსიკალური სკოლიდან, ბაღდათის №1 და №2 საჯარო სკოლებიდან შეარჩია რამდენიმე ბავშვი, ზოგ მათგანს არ ჰქონდათ მუსიკალური განათლება და თავად თედომ შეასწავლა ინსტრუმენტებზე დაკვრა და მუსიკა, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების შესაბამისად. ასეთი დიდი შრომის შედეგად 2015 წელს ჯგუფ **MAMA CRY** ბაზაზე ჩამოყალიბდა ჯგუფი **NEW HORIZON**. ბენდი შედგება 7 წევრისაგან: თემურ გოცირიძე – რითმგიტარა, ლია ლომიძე – ვოკალი, ნინო მშვილდაძე – კლავიში, ალექს ღვინეფაძე და სანდრო აბულაძე – დასარტყამი ინსტრუმენტი დრამი და ვერკუსია, გუგა თედორაძე – ბას გიტარა და ბენდის ხელმძღვანელი თედო ჟვანია – სოლო გიტარა. ბენდის ძირითადი ჟანრია ალტერნატიული როკი, თუმცა მათ რეპერტუარში შედის ბლუზი და როკენროლი, რომლებსაც ღონისძიებების მიხედვით არჩევენ. მათი სტილი 70-80-იანი წლების მუსიკაა, მაგრამ ცდილობენ მასში თანამედროვე ელემენტების შეტანას. ასევე მუშაობენ ახალ მუსიკაზე, რომელსაც თავად ქმნიან. თედო წერს მუსიკას, ხოლო არანჟირებას აკეთებს ბენდის წევრებთან ერთად. უკვე მზად აქვთ რამდენიმე სიმღერა და დებიუტისთვის ემზადებიან. ბენდმა 25 აპრილს გამართა სოლო კონცერტი, რომელიც დაახლოებით 1:30 წუთი გაგრძელდა და დიდი გამოხმაურებაც მოჰყვა. კონცერტზე 18 სიმღერა შეასრულეს.

რაც შეეხება სხვა ქალაქებსა თუ მუნიციპალიტეტებში მათ გამოსვლებს, ჯგუფი **MAMA CRY** ქუჩის მუსიკის დღეების ფარგლებში მონაწილეობდა ფესტივალზე ქუთაისში, ხოლო ახალი ბენდს **NEW HORIZON** არ ჰქონია გასვლა ქალაქიდან. ისინი ჯერჯერობით მხოლოდ ბაღდათში უკრავენ სხვადასხვა ღონისძიებებზე. თედოს თქმით, ძალიან სასიამოვნოა, როდესაც არის დაინტერესება და მუნიციპალიტეტში არსებული სამსახურები მათ იწვევენ საღამოებზე დასაკრავად.

სამომავლო გეგმებზეც ვისაუბრეთ – თედო არის აბიტურიენტი და სწავლის გაგრძელებას დედაქალაქში აპირებს, მას დიდი იმედი აქვს, რომ მუნიციპალიტეტში მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელიც თედოს შეცვლის და ჯგუფს ისევე უსასყიდლოდ გაუწევს დახმარებას, როგორც ამას თვითონ აკეთებს. მიუხედავად იმისა, რომ თედო თბილისში აპირებს სწავლას, ბენდთან კავშირს არ გაწყვეტს და დაეხმარება. ის ასევე სწავლასთან ერთად გეგმავს გააგრძელოს მუსიკის წერა.

ანა ქორიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ა.(ა.)ი.პ. ინფორმაციის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდი
საქართველო, ბაღდათი, რუსთაველის ქ. №68
ტელ: 595 538 536; 595 452 803
ელ ფოსტა: sainformacioturizmi@gmail.com

რედაქტორი სოსო ჯოტორეიშვილი
„ჩემი გაზეთის“ გუნდი:
ანა ქორიძე, მარიამ ოქროჭელიძე,
ანა ავალიანი, ანჟელინა ჭავჭანიძე,
ანა ფხალაძე

გაზეთი დაკაბადონდა
ი/მ მამუკა ჭოლაძის მიერ
დაიბეჭდა
შ.პ.ს. „ქოლორში“